საქართველოს დემოკრატიული პარტია

ერი

ორშაბათი თებერვლის 21 1921 წ.

ფასი 30 მან.

წელიწადი პირველი

რედაქცია და კანტორა

ქუთაისი, თბილისის ქუჩა, [illegible]
რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2½ საათამდის. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი წერილებისა და კორესპონდენციებისათვის! ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

დეპეშებისათვის—ქუთაისი ერი. ტელეფონი № 32
წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ მოწერას არ კისრულობს.

№ 5 ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო, № 5

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4 გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:
გაზეთი „ე რ ი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 700 მან. ცალკე № 30 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წ თებერვლის 17-დან ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

═ ე რ ი ═

გამარჯვებული საქართველო.

ქართველი ერი იმეორებს თავის ისტორიულ გმირობას. ამხედრებული, მთლიანი, პატრიოტულად აღგზნებული, სავსე იმედებით და იდეალიზმით იგი დღეს წარმოადგენს განთავისუფლებულ ამირანს, რომელიც ღვთიური ცეცხლით იკაფავს გზას მომავლისაკენ. ჩვენმა მხედრობამ ბოლშევიკები სასტიკათ დაამარცხა თბილისის მახლობლად. რუსები და სომხები თავზარდაცემულნი გარბიან.

წინ მიდის გამარჯვებული საქართველო.

სასწრაფო ცნობა

ქუთაისის მოქალაქეთ.

ემზადეთ ყველა მოქალაქენო სამღვთო ვალის მოსახდელად!

საქართველოს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა კავშირის გამგეობა გამართავს

დიდს წარმოდგენას

განსხვავებულის პროგრამით. სამშაბათს, 22 თებერვალს გამრეკელიძის ცირკში. დაწვრილებით აფიშებში.
ყველა დაესწრება, ვისაც სამშობლოსთვის გული შესტკივა.

კავშირის გამგეობა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა და მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს ყოფილი ბანკის მდივნის

ილიკო (იოსებ) ქაიხოსროს ძის თაყაიშვილის

უეცრად გარდაცვალებას ქ. ბათუმში, რომლის დაკრძალვის დღეს 24 ამა თებერვალს ახალი სტილით დილით 12 საათზე გადახდილი იქნება ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში პანაშვიდი.

ღრმად დამწუხრებულნი დავით, ივანე, ალექსი, პატიკო და ქაიხოსრო ნიკიფორეს ძენი თაყაიშვილები, ელისაბედ ნიკიფორეს ასული პაპისოვისა და მარიამ ნიკიფორეს ასული ჩხაიძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი ბიძის

ილიკო (იოსებ) ქაიხოსროს ძე თაყაიშვილის

გარდაცვალებას ქ. ბათუმში, რომლის დაკრძალვა დანიშნულია 24 თებერვალს ახალი სტილით.

მსოფლიო ომი.

ძირითად უნდა შეიცვალოს შეხედულება მიმდინარე ომზე: სრულდება წინასწარმეტყველება, რომელიც ექვსიოდე წლის წინათ ერთმა დიდმა პიროვნებამ გამოსთქვა— „ევროპაში დაწყებული ომი აზიაში დამთავრდებაო“.

აზერბეიჯან-სომხეთის მიერ საქართველოზე უეცარი თავდასხმა გამოდის კავკასიის საზღვრებიდან და საერთაშორისო ხასიათს ღებულობს.-

მოქალაქენო! დაიცავით წესიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ყორდანიას მიმართვა მთელ ქვეყნისადმი.

მთავრობის თავმჯდომარის სახელით რადიოთი დაგზავნილია შემდეგი დეპეშა:

ყველას, ყველას!

ყველა სალხვის და ყველა სახელმწიფოს ქვეყნისას.

მიუხედავათ ქართველი ხალხის და მ ს ი მთავრობის მისწრაფებისა მშვიდობიანათ და მეგობრულათ ეცხოვრა ყველა ხალხთან, ჩვენი მეზობლები—საბჭოთა რესპუბლიკები—მუხანათურად დაეკვეხნენ თავს.

საბჭოთა სომხეთმა და აზერბეიჯანმა, რუსეთის წითელი არმიის დახმარებით, ფორმალურად ომის გამოუცხადებლათ, დაიწყეს შემოტევა ჩვენ წინააღმდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობისა და ჩვენი ხალხის მონობაში ჩაგდების მიზნით. თქვენ ყველამ უნდა იცოდეთ, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ამ სახით სჩადის დანაშაულს, რომელსაც ისტორიაშიც არ ჰქონია პრეცედენტი.

წითელ დროშის ქვეშ და წითელი ლოზუნგებით იმის შემდეგ, რაც მან გათელა ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულება, საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა იარაღის ძალით მოესპო ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენიტეტი.

მთელი ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ჩვენ, რომ ქართველმა ხალხმა გადასწყვიტა ებრძოლოს თავის გაფთრებულ მტერს უკანასკნელ ამოსუნთქვამდი.

ისტორიის ამ მძიმე საათში ქართველ ხალხს არ აქვს სხვა ლოზუნგი, გარდა: დამოუკიდებლობა ან სიკვდილი.

და ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში ყველა განათლებული ხალხის თანაგრძნობა ჩვენ მხარეზეა.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე **ყორდანია.**

ამ ომმა უნდა გადასწყვიტოს, მოახერხებს რუსეთი თავისი ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების აზიაში გადატანას და მით დაუძლურებს დიდი ხნის მტერს—ევროპას, განსაკუთრებით კი ინგლისს, თუ იგი უნდა დაკმაყოფილდეს საკუთარ, ეხლა უკვე საკმაოთ შეკვეცილ, ფარგლებით.

საქართველოში მომხდარ აჯანყებებში, საქართველოს ყველა უკანასკნელ ომებში ერია ხელი რუსეთის მუშათა საბჭოისა და მისი აგენტებისა. ისინი ასულდგმულებდენ და ეხმარებოდენ, როგორც აპარლებსა და ოსებს, ისე სომხებსა და აზერბეიჯანს. საბჭოთა რუსეთის წინათ მოქმედებისა და მიმდინარე მოქმედებათა შორის მთლიოდ ის განსხვავებაა, რომ მაშინ ოსმალეთზე ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი და, დროებით გაიმარჯვებდა საქართველო თუ არა, უფრო მაღალ ხარისხოვან კითხვათა წინაშე ვერ იპყრობდა მთელ ყურადღებას—ხელს უშლიდა ხანვრანგული და პოლონეთი, ხან ნიშნები გერმანიაში სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენისა.

დღეს სხვაა.

სამოქალაქო ომი შეწყვეტილია, საზღვრებზე ზავი და მშვიდობიანობაა.

ტროცკი, ლენინი დარწმუნდნენ, რომ ევროპის საზღვრებით რევოლიუციის შეტანა ინგლის-საფრანგეთში შეუძლებელია. დარჩათ აღმოსავლეთი; და აქ საქართველო ოსმალეთთან ერთად წერტილს უსვამს, სპობს, როგორც საბჭოთა ტკბილ ოცნებას, რომ ქვეყნიერებას რევოლიუციის ცეცხლში გახვევს, ისე ყოველი რუსის პეტრე დიდისგან ანდერძათ მიღებულ უძველეს გეგმას, რომ სპარსეთის სრუტეში დამკვიდრდეს და ინდოეთისკენ გზა გაიკვლიოს.

უეჭველია, ასეთს იდეურათ და მემკვიდრეობით განმტკიცებულს აზრს ადვილათ არავინ მიატოვებს... ეს მარტო ძალა-უფლების თავმოყვარეობა აღარ არის; აქ მარტო საქართველოზე არ არის იერიში, და ბრძოლა უნდა იქნეს ხანგრძლივი და სასტიკი. ასეთი ომი არ უწარმოებია ჯერ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას. ბევრი ზოგჯერ გაგვიღიმებს, ზოგჯერ კი ზურგს შემოგვაქცევს; მაგიერად ჯილდოსაც გაასკეცებულს მიიღებს გამარჯვებული მბარე.

ამიტომაა საჭირო ენერგიის გამოზოგვა, გულის სიმშვიდის შენახვა, ცდა რომ ხალხსა და მთავრობას შორის არ შეირყეს კეთილი განწყობილება.

„გაიმარჯვებს ის ვისაც უფრო დიდხანს შერჩება სალი ნერვები“-ოფიქრობდენ გერმანელები და ხუთი წელი გაუძლეს მთელ ქვეყანას...

ეს ომი უკანასკნელად და შეიძლებ საუკუნოებით გადასჭრის ჩვენს მნიშვნელობას და მდგომარეობას ხალხთა შორის.

რომ გავიმარჯვებთ, ბევრი რამ არის თავდები: მთლიანი ერის ნებისყოფა, საკმაო მომზადება ჩვენი ჯარებისა და სხვადასხვაუერობა მოწინააღმდეგეთა სურვილებისა, და... ჩვენც გვეყოლებიან დამხმარენი, თუმცა მათზე დიდს იმედებს ნუ დავამყარებთ.

ნაპალეონმა სთქვა, იდეამ დამამარცხაო, და უნდა ვიფიქროთ ჩვენ იდეა გვეგამარჯვებს... ყოველ ქართველს ასულდგმულებს სამშობლოს კეთილდღეობა, მისი თავისუფლება როგორც საკუთარი საქმე. მაგრამ რა მოაქროლებს მოსკოველ წითელ არმიელებს ჩვენსკენ? შეიძლება იმედი გაძღომისა და დავლისა? მცირე სტიმულია სასიკვდილოთ თავის გადადებისათვის! არა მათ მოდენიან მათთვის გაუგებარ მიზნისთვის! ჩვენ კი ვიჩერებთ ჩვენს მეომარ მამულიშვილებს...

იმერული ხრიკი, გურული ტრაბახი, მეგრული გაძრომ-გამოძრომა და თვით ხევსურის უებარი ვაჟკაცობა, რომელთაც დღემდე კიდევ ჰქონდათ გასავალი, ვეღარ გამოგვადგება... დიდ მოვლენათა შორის მოქცეულთ გვჭირდება გამოცდილება, ცოდნა, ნიჭი, ფართო მსოფლმხედველობა და შორს მჭვრეტელობა.

ქართველმა ერმა სასწრაფოდ უნდა შემოიკრიბოს სულიერი იგი სიმდიდრენი, თუ კი საქმე მოიპოვება, სადაც არ იყოს მიმალული, რა რიგ მიზეზითაც არ იყოს მიჩქმალული, რომ არ დაიგვიანოს, როგორც სამწუხაროთ, დაიგვიანა გენერალ კვინიტაძის მთავარ სარდლათ დანიშვნამ.

ნ. ლ—ძე.

არ მოვსტყუვდეგით.

სომხეთიდან ჩვენმა მთავრობამ დეპეში მიიღო, რომელშიაც სომხები აცხადებენ, რომ არასასურველი ბოლშევიკური მთავრობა უარეყავით და ეროვნული მთავრობა დავაყენეთო.

ამ დეპეშას მიზნათა აქვს ჩვენი მთავრობა შეცდომაში შეიყვანოს. ჩვენს მოტყუებას სომხეთი იმდენათ მიგჩვია, რომ ამდენი უბედურების შემდეგ, ის კიდევ დარწმუნებულია, რომ ჩვენ ჩვეულებრივ მოგვატყუებს.

მთავრობისა და მიმართულების შეცვლა სომხეთისათვის სულ ადვილია. გინდა წითელი დროშა აუფრიალებია, გინდა ყვითელი; როგორც მოუხდება, ისე იქცევა. ეს ცხადი ნიშანია, რომ სომხეთს ერთი გამორკვეული კურსი არა აქვს; მისი პოლიტიკური სახე ერთფეროვანი არ არის. მისი პოლიტიკური კურსი სავსებით დამოკიდებულია გარემოებაზე—ისე მოიქცევა, როგორც შემთხვევა მოითხოვს.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავისუფალია, იმოქმედებს, როგორც უნდა, მაგრამ რამდენათ ეს შესაფერია სახელმწიფოს პრესტიჟისათვის, რამდენათ ეს მისაღებია მსოფლიო არსებობის თვალსაზრისით—ეს სხვა კითხვაა. პრაკტიკულათ ეს გზა სომხეთისათვის სასარგებლოა, მაგრამ პოლიტიკურათ და ეთიკურათ ეს გზა სომხეთის მომაპობია და კიდეც მოსპობს მას, თუ ჩვეულებრივ მას ყოველივე არ ეპატივა და პასუხისმგებლობაში ჩავარდა.

რას ნიშნავს სომხეთის ასეთი გადატრიალება? ბოლშევიზმის მოახლოვების დროს უცებ გაწითლდა, ახლა, როცა ბოლშევიზმი იყო მიღებული, დანოყიერებული და ზურგ გამაგრებული ჩვენ მოგვდგა და თფილისში ლამობს შემოჭრას, სომხეთი უარყოფს ვითომ ბოლშევიზმს. თუ უარყოფდა—ამისთვის დრო არა ჰქონდა? თუ არ ეთანხმებოდა—განა შებრძოლება სრულიად არ შეეძლო? და თუ დღეს უარყოფს და მართლა გულწრფელათ მოქმედობს სად არის მისი სახე, სად არის მისი მხედრობა, იარაღი, პოლიტიკური უნარი, რომ აქეთ წამოსულ ბოლშევიკებს ზურგში არ მოჰყვა და არ ამარცხებს? განა მარტო გამოცხადებით და ასე უცებ შეთითხნილი დეპეშით უნდა თავისი პოზიცია გვაჩვენოს?

არა, აქ ჩვეულებრივი სიყალბეა. სომხეთს უნდა მტერი ჩვენ მოგვისიოს და თვითონ დაიმალოს.

თავისი ყალბი ნაბიჯებით სომხეთსა სურსთ ბევრი რამ გაიკეთონ. ეროვნული მთავრობის გამოცხადებით მათ უნდათ ჩვენ შეგვაცდინონ, დაგვარწმუნონ, რომ თქვენ წინააღმდეგ ბოლშევიკები მოდიან და ჩვენ მათ არ თანაუგრძნობთ და არ ვეხმარებითო. ამავე გზით უნდათ დაანახვონ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მისსიებს, რომ ჩვენ ქართველებს არ ვებრძვით, ქართველებთან მარტო ბოლშევიკები იბრძვიან და თუ ქართველებმა ჩვენზე რამე სთქვეს და მტრული გზით მოგვექცენ—გვიშველეთ, გვიშუამდგომლეთ და დაგვიფარეთო.

თვით ბოლშევიკების მათ აღარ ეშინიათ, ეროვნულ მთავრობას გამოაცხადებენ, თუ სხვა რამეს ჩაიდენენ, სულ ერთია—ბოლშევიკებთან მათი დამოკიდებულება გამორკვეულია და მათგან ცუდს არ მოელიან. ბოლშევიკებს ისინი დაემორჩილენ, წინააღმდეგობას არაფერში გაუწევენ და მათ მონა-მორჩილათ იქნებიან. თუ კი ფაქტიურათ სომხები ბოლშევიკებს აბატონებენ, ომის დროს ზურგს გაუმაგრებენ, თავის ქონებას მათ განკარგულებაში გადასცემენ,—მაშინ როგორი მთავრობაც არ უნდა გამოაცხადონ სულ ერთია, მით უმეტეს თუ ტაქტიკური მოსაზრებით და ომის გასაადვილებლათ ეს კიდეც მოეხმარებათ.

სომხეთის განცხადება ყალბია, ცხადი ფარისევლობაა, აშკარა საშუალებაა მოსატყუებელი და მტრის დასამარცხებელი.

ეს ასე უნდა იქნეს გაგებული და სხვა განმარტება უადგილოა.

ეს არის ჩვეულებრივი და მათგან ნაცადი ხერხი. ეს არის მტრისაკენ ნასროლი ანკესი, რომელზედაც უნდათ ნდობასა და გულწრფელობას ნაჩვევი ხალხი წამოაცვან.

სომხეთის ასეთი მოხერხებით და სიყალბით ჩადენილ გადატრიალებას არ უნდა ექნეს გავლენა ჩვენს მთავრობასა და მხედრობაზე. ეს გადატრიალება უყურადღებოთ უნდა დავსტოვოთ. ჩვენს წინაშე ფაქტი სდგას და ის უცვლელათ უნდა დარჩეს ომის დასასრულამდე. ეს ის ფაქტია, რომ სომხეთმა ბოლშევიკები მოგვისია და თვითონაც მათთან არის. სომხეთი ჩვენს დაღუპვასა და მოსპობას ცდილობს—ეს კარგათ ესმის დღეს ჩვენს მხედრობას და ამ რწმენას მას ვერ შეურყევთ.

ჩვენმა ჯარმა ბრძოლის ველზე გამოცდილებით მიიღო ეს რწმენა და კიდეც აართვა აღლო მომენტს.

დიპლომატია ყველგან სახიფათოა და სომხეთის ხომ სრულიად მიუღებელია.

გადატრიალებამ არ მოგვატყუოს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

თბილისი 20 თებერვალი. გენერალური შტაბის ცნობა.

მტრის კოლონები, რომლებიც თავისუფლად უვლიდენ ჩვენს ფრთას, გაიქცენ.

ჩვენ დავიკავეთ სადგური ვაზიანი. მტერს რომელიც გვივლიდა ამ რაიონში, ჩვენი ჰაეროპლანებიდან ესვრიან ყუმბარებს. კოჯორის რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები, წამოვიღეთ იარაღები და ტყვიისმფრქველები. მტრის დევნა გრძელდება.

ბაგრის რაიონში მდინარე მუხადირთან ბრძოლაა.

——

კახეთში გასულ დღეღამეში მოწინააღმდეგეს აქტივობა არ გამოუჩენია.

——

19 თებერვალს შედგა პირველი სხდომა განსაკურთებულ სამხედრო სასამართლოსი. დახურულ კარებში გაირჩა საქმეები საქართველოს რესპუბლიკის გენერალური შტაბის მწყობრი გუნდის ყოფილ უფროსის კ. ვ. ივანოვისა და რუსეთის გენერალური შტაბის ყოფილი ოფიცრის ვ. ა. ბოხისა; ბრალდებოდათ: ივანოვს—სახელმწიფოს ღალატი, ბოხს კი—ჯაშუშობა. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა საბრალმდებლო განაჩენი, რომლითაც ივანოვი იცნეს შელავათის მიცემის ღირსად და მიუსაჯეს 8 წლის საკატორღო სამუშაო, ბოხს კი სიკვდილით დასჯა დახვრეტით, რომელიც მოიყვანეს სისრულეში 20 თებერვალს დილის 7 საათზე.

——

მთავრობამ 19 თებერვალს დაადგინა: საქართველოს ყველა ქვეშევრდომები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ საქართველოზე მტრის მუხანათურ დაცემას, იღებდენ უშუალო მონაწილეობას დაცემაში, აძლევდენ რაიმე დახმარებას მტერს, გამოცხადებული არიან საქართველოს რეს. პუბლიკის კანონთა მფარველობის გარეშე და მომქმედ კანონების თანახმად ჩამოერთმევათ ყოველგვარი ქონება.

——

მთავრობის თავმჯდომარისა და დამფუძნებელ კრების სახელზე მოდის დეპეშები, რომლებიც მოწმობენ ხალხის ერთსულოვან აღფრთოვანებას. ყველა შეერთებულია სამშობლოსადმი სიყვარულში და სამშობლოს დაცვისათვის მსხვერპლის მოტანის სურვილში.

მტრის ზურგში აჯანყებებია. ჭიმიაძინის რაიონში მოხდა შეტაკება ადგილობრივ მცხოვრებლებსა ბოლშევიკებთან. ყველგან დაამარცხეს უკანასკნელები წამოიყვანეს ტყვეთ 500 კაცი. აჯანყება მოხდა ახალი მთავრობის დაცვის ლოზუნგით.

ყარაბახში დაიწყო დიდი აჯანყებები ბოლშევიკების წინააღმდეგ ცნობილ თურქ კიაზიმის მეთაურობით.

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 20 თებერვალი. ზანგეზურში გძელდება მცხოვრებთა საერთო აჯანყება.

აჯანყება დაღესტანში ფართოვდება. აჯანყებულებმა დაიკავეს ვედენო. აჯანყებულთა მეთაურია შამილის შვილიშვილი,

დაიწყო აჯანყება განჯის რაიონში.

თბილისი. 20 თებერვალი, საღამოს 7 საათი. დღეს ქემალისტებმა კარაკლისი აიღეს.

თბილისი. 21 თებერვალი, დილის 8 საათი. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 200 კავალერისტი, 900 ქვეითა ჯარის კაცი. რამოდენიმე ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს.

თბილისი 17 თებერვალი. ნაშუადღევის 4 ს. 13 წ. — თბილისის ქალაქის თვითმართველობა გვაუწყებს: ქალაქის ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია, ვინაიდან მოსამსახურეები და მუშები ტრამვაისა წავიდენ რესპუბლიკის დაცვის მოხალისეთა რაზმებში.

თებერვლის 16. რესპუბლიკის ჯარები გამაგრდენ თბილისის გამაგრებულ პოზიციაზე, რომლებიც დაშორებულია მოწინავე ნაწილებისაგან.

ქალაქის თვითმართველობამ მიიღო გადამწყვეტი ზომები იმ ვაჭრების წინააღმდეგ, რომლებით ხელოვნურად სწევენ ფასებს სურსათ-სანოვაგეზე. სურსათ-სანოვაგის ნივთების სპეკულიაციაში შენიშნული პირები გადაეცემიან გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში.

ქალაქის თვითმართველობამ მიიღო სასწრაფო ზომები დაჭრილ და ავათმყოფ მეომრების გადაყვან-გადმოყვანის მოსაწესრიგებლათ და შეასამსუბუქებლათ. სადგურ ნავთლუღამდი გაყავთ ტრამვაის ხაზი დაჭრილთა უმტკივნეულოთ გადაყვანისათვის.

გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით შედგა სამხედრო კრება; სხდომა დაიწყო ნაშუადღევის 2 საათზე. ბევრს მოელის დახვრეტა. მათი სახელი და გვარი ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

მოხალისეების სამობილიზაციო ბიურომ სასახლეში ნაშუადღევის 2 საათზე მიიღო და ჩასწერა მოხალისე ჯარის კაცები და ოფიცრები 3000 კაცი. საფრანგეთის პოლკოვნიკი ხორი უკვე გაემგზავრა ფრონტზე ამ მოხალისეებით.

დიდი უმეტესობა სტუდენტობისა ჩაეწერა მოხალისეებათ. სტუდენტ-მოხალისეთა რაზმი, რომელიც მიდის ფრონტზე ათასს კაცზე მეტია.

მთელი დღის განმავლობაში სამობილიზაციო ბიუროში შემოდის მოქალაქეთაგან შემოწირულების სახით სამხედრო საქმის საჭირო ნივთები. შემოწირულებათა მიღება გრძელდება.

დამფუძნებელ კრებამ გამოუშვა მოწოდება, რომლითაც მოუწოდებს მოქალაქეებს გამოიყვანონ ქუდზე კაცი სამშობლოს დასაცავათ.

თბილისი თებერვლის 18 საღამოს 7 საათი.

თბილისი 18 თებერვალი. გენერალური შტაბის ცნობა. თებერვლის 17-ს მთელი დღის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა თბილისის დაცვაში ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოთ. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ლაგოდეხისა და შირაქის ველებში ბრძოლაა.

გორი. თებერვლის 17. მთელი ქართლი ფეხზე დადგა, როცა გაიგო სამშობლოს მძიმე მდგომარეობაში ყოფნა. მისი საუკეთესო შვილები ეწერებიან მოხალისეებათ ჯარისა და გვარდიის ნაწილების შესავსებაო, რომლებიც მზად არიან თავი შესწირონ სამშობლოს.

ეწყობა მოხალისეთა რაზმები გამოცდილ მეომარ ფურცელაძის მეთაურობით.

რაზმები გაემგზავრებიან ფრონტზე. ყველას წარმოუდგენელი სულიერი სიმტკიცე და რწმენა ემჩნევა. ყველა აღელვებულია და თვალცრემლიანი ფიქრობს მხოლოდ ჭალარა თბილისზე. მცხოვრებთა ყველა წრეები მზად არიან მსხვერპლათ მოიტანონ თავისი თავი სამშობლოსათვის. თბილისს ჩვენ არავის დაუთმობთ. ყველა: ეროვნები, ქალაქები, ადმინისტრატიული მთავრობანი, პარტიული ორგანიზაციები, კოოპერატივები და მთელი ხალხი თავდაცვის მუშაობით არიან გაერთიანებულნი. სრული სიმშვიდე მეფობს. ყველა სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებანი და მოსამსახურეები შეგნებულათ დგანან თავის ადგილებზე. შეუჩერებლივ მუშაობენ. ყველა, მთავრობასა და დამფუძნებელ კრებასთან ერთად ყოველ წუთში მზად არიან თავი შესწირონ რესპუბლიკას. ქუჩებში და ყოველგან გაისმის მხოლოდ ერთი: „მტრებს შეუძლიათ გადაიარონ ხალხის მხოლოდ გვამებზე, მაგრამ მტერი ვერასოდეს ვერ იხილავს ჩვენს სამშობლოს და მის შვილებს დამარცხებულთ. ყველანი ღრმათ არიან დარწმუნებული გამარჯვებაში.

თბილისი. 18 თებერვალი ეროვნებს, დაუყონებლივ შეადგინეთ რაზმები. წადით ფრონტის დასახმარებლად.

ხევსურებმა სასწრაფოდ შეადგინეს ძლიერი რაზმი, რომელიც უკვე გაემგზავრა ფრონტზე. თელავისა და სილნაღის მაზრები „ქუდზე კაცი“ შვიარაღდენ. სოფლებს გამოაქვთ დადგენილებები: ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

— ადგილობრივ თათრებმაც შეადგინეს დიდი რაზმი.

მოწოდება პროფს. კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის საბჭოსი — საქართველოს ყველა მუშების ორგანიზაციებს: ამხანაგებო! საქართველოში შემოიჭრენ საზიზღარი მტრები. საბჭოთა სომხეთს მიემატა საბჭოთა აზერბეიჯანი და გამცემლურათ დაგვესხენ თავს. დაცემაში მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა რუსეთის ჯარები.

დაცემის მიზანია საქართველოს დამონება, მისი დამოუკიდებლობის მოსპობა, სიკვდილის შიშის ქვეშ დააყენოს თავისუფალი ხალხი. ყველამ ფეხზე დადექით დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავათ. დაუყონებლივ ჩავდგეთ მებრძოლთა რიგში და ავამხედროთ ყველა მშრომელი ხალხი, მთელი ერი. ეხლა არ არსებობენ ცალკე პარტიები და ორგანიზაციები, არამედ საქართველოს ფრონტის დამცველნი ერთეულები. ამხანაგებო ერთი წუთითაც არ შეჩერდეთ. შეადგინეთ მოხალისეთა რაზმები, რომლებიც ჯარსა და გვარდიასთან ერთად დასცემენ მტერს სასიკვდილო მახვილს. ჩვენზეა მოპყრობილი მთელი კაცობრიობის ყურადღება. საქართველოს საზღვრებზე წყდება საკითხი არა მარტო ჩვენი, არამედ ბედი მთელი საერთაშორისო დემოკრატიისა. და ამ ნაირად წინ, გამარჯვებისაკენ, ამხანაგებო. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და გავიმარჯვებთ კიდეც. ამის თავდებია ერთსულოვანება და აღფრთოვანება ხალხისა. ძირს შავი ძალები. გაუმარჯოს ჯარსა და გვარდიას. გაუმარჯოს საქართველოს.

თბილისი. 19 თებერ. გენერალური შტაბის ცნობა. 18-დან 19 თებერვალს ღამით მტერმა დიდი ძალებით შემოუტია ჩვენს პოზიციებს, თბილისის მიმართულებით, მთელი ღამე გრძელდებოდა გამწვავებული ბრძოლა. 19 თებერვალს დილით **მტერი სრულიად დამარცხდა და უწესრიგოდ გარბის.** მტერმა დიდი ზარალი ნახა. ჯერ ხელთ ვიგდეთ 1000 ტყვე. ბევრია დახოცილი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს სგენერალგუბერნატოროს, აფხაზეთის კომისარიატს, მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს ბათუმის ოლქში, მაზრის და ქალაქების მილიციათა უფროსებს შემდეგი ცირკულიარული განკარგულება: თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რომლითაც აზერბეიჯანისა და მთიელთა კომიტეტი ცნობილია აზერბეიჯანის და მთიელთა რესპუბლიკების ხალხის ნამდვილი ნების გამომხატველათ, ბრძანებს კანონიერი დახმარება აღმოჩინოს ხსენებულ კომიტეტს აზერბეიჯანის და მთიელთა რესპუბლიკების მოქალაქეთა ჯარში გაწვევის საქმეში.

ერივანი 19 თებერვალი. დილათ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ეორდანიას და გარეშე საქმინ. მოადგილის საბახტარაშვილის სახელზე მიღებულია შემდეგი რადიო ტელეგრამა:

სომხეთის მშრომელ მასებმა ველარ აიტანეს კომუნისტების მძიმე უღელი და 18 თებერვალს აჯანყდენ, როგორც ერთი კაცი. გმირული ბრძოლით ჩამოაგდეს ბოლშევიკების ბატონობა და აღადგინეს მშობელი მთავრობა. ძალა-უფლება ახალი მთავრობის შედგენამდი სამშობლოს გადარჩენის დროებით კომიტეტის ხელშია. გაგნობებთ რა ამას თქვენ და საქართველოს დემოკრატიას, სომხეთის ხალხს იმედი აქვს, რომ ქართველ ხალხს არ შეემთხვევა ის განსაცდელი, რომელიც წილად ხვდა სომხეთის დემოკრატიას. სამშობლოს გადარჩენის კომიტეტმა საქართველოში სომხეთის დროებით დიპლომატიურ წარმომადგენლათ დანიშნა ტ. ბეკზადიანი, რომელსაც გთხოვთ აცნობოთ მისი დანიშვნის შესახებ, და რომელიც საჭიროდ უნდა შეუდგეს თავის მოვალეობათა ასრულებას.

უკანასკნელი ცნობა.

თებერვლის 20, შუადღის 12 საათი.

თბილისიდან მთავარი შტაბი იტყობინება: დღეს მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით მტერს უკან დავახევინეთ. წამოვიყვანეთ 500 ტყვე. მტერს წავართვით ტყვიის მფრქვეველები და ზარბაზნები.

გუშინ ღამის 10 საათზე საქართველოს დემოკრატიული პარტიის მოხალისეთა რაზმის პირველი ეშელონი უკვე გაემგზავრა ფრონტზე. ისინი წავიდენ გვარდიის ნაწილებთან ერთად. სადგურზე დიდძალი ხალხი დაესწრო მათ წასვლას და ტაშით, „ვაშას“ ძახილით და მუსიკით გააცილენ. იყო სიტყვებიც.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია, როგორც დღევანდელი დეპეშებიდან ჩანს, წინ მიიწევს და მრავალრიცხოვან მტერს გმირულად ებრძვის, ზურგში ჩვენი ქვეყნის მტრები და პროვოკატორები ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ, რომელიც სინამდვილეს სრულებით არ შეეფერება. მაშულიშვილნო! თვალყური ადევნეთ პროვოკატორებს და პირველ შემთხვევისთანავე ეცადეთ წარუდგინოთ ისინი სამხედრო შტაბებს.

სულ უკანასკნელი ცნობით ჩვენები უტევენ მტერს.

ბოლრჩალოს და თბილისის თათართა რაზმი.

თბილისი.

18 თებერვალს „საქართველოს“ რედაქციაში სადაც მოთავსებულია საქართველოს დემოკრატიული პარტიის სამობილიზაციო ბიუროს გამოცხადდა ბორჩალოელ და თბილელ თათართა რაზმი პოლკოვნიკ ედიგაროვის წინამძღოლობით. მუსულმანებს მიესალმა საქართველოს დემოკრატიულ პარტიის სახელით სამობილიზაციო ბიუროს თავმჯდომარე დ. ვაჩნაძე და მთავარ კომიტეტის წევრი ალ. ასათიანი. საპასუხო სიტყვაში ედიგაროვმა განაცხადა, რომ ბორჩალოს მუსულმანები მუდამ ერთგულნი იყვენ ქართველი ხალხისა, ერთგულათ იცავდენ მის სატახტო ქალაქს და ეხლაც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

ზურგის უფროსი.

ტფილისის რაიონში ზურგის უფროსად დაინიშნა ტფ. მილიციის უფროსი პოლკოვნიკი ვ. სულაქველიძე.

ამერიკის კომიტეტში.

თებერვლის 17-ს ტფილისიდან ზოგიერთები გაიქცნენ. ამ გაქცეულთ თანახმად ტფ. საბჭოს ხმოსანთა საგანგებო სხდომის დადგენილებისა ბინები ჩამოერთმევა და გადაეცემა ქალაქის საბინაო განყოფილების განკარგულებაში,

---

ახალი ამბები.

ტუსაღების ჩამოყვანა. 19 თებერვალს ქუთაისში ფრონტიდან ჩამოიყვანეს სამი გუნდი ტყვე ბოლშევიკი ჯარის კაცები თითო გუნდი შესდგებოდა 206 კაცისაგან. უმთავრესად ისინი შესდგებოდენ რუსებისა და სომხებისაგან ტანზედ ძალია ცუდათ აცვიათ ერთი შესვლულობით მათ შეატყობთ რომ მოღალულნი არიან.

დატუსაღებული საკონსულო. 19 თებერვალს ქუთაისში ბათუმიდან ჩამოიყვანეს ბოლშევიკების საკონსულოს მოხელეები და მათთან სხვა დაჭერილი ბოლშევიკებიც.

დემოკრატიული პარტიის რაზმის გამგზავრება. 19 თებერვალს საღამოს 9 საათზე ჩვენი პარტიის რაზმის პირველი გუნდი გაემგზავრა თფილისისაკენ. გამგზავრების წინ მათ შემოიარეს ქალაქის უმთავრესი ქუჩები მწკრივად და დროშით, შემდეგ მივიდენ სადგურზედ, სადაც მათ წარმოსთქვეს რამოდენიმე მხურვალე სიტყვა. წასვლის დროსაც მოაწია. მატარებელი დაინძრა. „ვაშა“ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით მოშორდენ სადგურს, მათ თან წაყვათ აფირები ნაკაშიძე და შავგულიძე.

სანიტარული რაზმის შედგენა. დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბი შეუდგა სანიტარულ რაზმის შედგენას. დღემდე ჩაწერილი 30 ქალი და კაცი. უმთავრესად წევრებათ ღებულობენ გამოცდილ პირებს. გამოუცდელთათვის ლექციებს სანიტარულ დარგებიდან დღეში ორჯელ კითხულობენ ექიმები. ჩაწერა გრძელდება.

დღევანდელ ჩვენ გაზეთის ნომერში შეცდომით დაიბეჭდა პირველ გვერდზე „22 სამშაბათის“ მაგივრათ 21 ორშაბათი.

დაწესებულებათა გადმოსვლა ქუთაისში. თბილისიდან ზოგი სახელმწიფო დაწესებულება გადმოვიდა ქუთაისში.

სასწავლებლებში. ქალების სასწავლებლებში მაცადინობა ჯერ-ჯერობით არ დაიწყება. მოსალოდნელია რომ ვაჟების სასწავლებლებში-დაც შესწყდეს მაცადინობა.

ტყვეები გიმნაზიაში. ქუთაისის მე-2 რე გიმნაზიაში და ქალების პირველ გიანაზიაში დააბინავეს ტყვე ბოლშევიკები ჯარის კაცები.

ვ. ჩერქეზიაშვილი მოხალისად ჩაეწერა. ცნობილი ანარქისტი, კროპოტკინის მეგობარი, 75 წლის მოხუცი ვარლამ ჩერქეზიშვილი გამოცხადდა მოხალისეთა მიმღებ კომისიაში და მოითხოვა მიეცათ იმისთვის ვინ ტოვკა რესპუბლიკის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად.

მატარებლის მიმოსვლის შეჩერება. ორი დღეა რაც ქუთაისიდან თფილისისაკენ მატარებელი არ გასულა, დადის მხოლოდ სამხედრო მატარებლები.

ტყვე ბოლშევიკების ჩამოყვანა. გუშინ თებერვლის 21-ს თფილისიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს 500-მდე ტყვე ბოლშევიკი ჯარის კაცები, მათში უმთავრესად რუსი კაზაკებია.

პარტიული სანიტარული რაზმი. დემოკრატიის პარტიის სანიტარულმა რაზმა უკვე დაიწყო მაცადინობა. პირველი ლექცია წაიკითხა ვახილ წვრილელმა. ლექტორებათ მოწვეულნი არიან აგრეთვე სხვა ექიმები.

პრესა.

დღეს ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ, უნდა მოხდეს და რა ხასიათიც უნდა მიიღოს ჩვენმა ომმა შემოსეულ ურდოებთან, ჩვენი საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია.

მოხდა ის, რაც გამარჯვების მომასწავებელია, მისი წინამორბედია. ხალხმა აშკარად იგრძნო საბედისწერო მომენტი და, როგორც ერთი კაცი, გამოვიდა, რესპუბლიკის დასაცავად.

თავის მხრივ დედა-ქალაქმა თფილისმა საომარი სახე მიიღო. ამ უკანასკნელ დღეებში ის გადაიქცა საქართველოს ნამდვილ გულად და მთელი თავისი ძალები აამოძრავა, მოქმედებაში მოიყვანა, დარაზმა და ფრონტს ღირსეულად ზურგი გაუმაგრა.

პროვინციამ ჩვეულებრივი მხნეობით და მდგომარეობის შეგნებით შეასრულა და ასრულებს თავის დანიშნულებას. ყოველ საათობით ახალ ახალი ძალები ემატება ჩვენს გმირ მეომრებს და დგება უდიდესი ფრონტი.

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ბრძოლა არ არის ადგილობრივი, თუნდაც ამიერ-კავკასიის მნიშვნელობის.

მის შედეგებს ეძლევა მსოფლიო ხასიათი. თფილისის მიდამოებში უნდა გადასწყდეს „კომუნისტების“ ბედი მთელს აზიაში.

ამ ახლად მოვლინებულმა იმპერიალისტებმა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში უნდა ჰპოვონ თავიანთი მესაფლავე და ეს მესაფლავე იქნება საქართველოს დემოკრატია.

დღეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დამტკიცდა, რომ ქა-

ქართველო ხელი ხმალს იპარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოველ ხალხში "კომუნისტებს" არავითარი გავლენა არ ჰქონიათ. მთელს რესპუბლიკაში მათ არ აყვა არც ერთი მოქალაქე ეს უდიდესი და ისტორიული გამარჯვებაა საქართველოს ცოცხალი, მომქმედი და დარაზმული დემოკრატიისა აღვირ წახსნილ ანარქიაზედ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტების აზიური პოლიტიკა თავის სამარეს ნახავს თფილისის კედლებთან, როგორც ვარშავის მიდამოებში დაიმარხა მათი ევროპიული პოლიტიკა.

დემოკრატიის შეურყეველი მუშაობა, მუდმივი სიფხიზლე, გაჭირვების დროს სრული სიმშვიდე—აი რა არის საჭირო დღეს და გამარჯვება უზრუნველყოფილია!.

„სახალხო საქმეში" მოთავსებულია შემდეგი მოწინავე წერილი:

„ერთი ზღვიდანა მეორემდე
ერთ ფიქრსა ჰფიქრობს".

საქართველოს ყოველ კუთხეს მიაღწია ელვის სისწრაფვით ცნობამ, რომ სამშობლო განსაცდელშია, რომ ტფილისი ხიფათშია ჩავარდნილი, რომ ქართველი ერის თავისუფლება ბრძოლის სასწორზეა დადებული და მთელი საქართველო, მთელი ქართველი ერი დიდიან-პატარიანად ლედა გულიანად ფეხზე დადგა და აბჯარ ასხმული განემზადა სამშობლოს დასახსნელად წმინდა მსხვერპლის მისატანად. მტერს ეგონა, რომ მისი დროებითი წინსვლა შიშის ზარს დასცემდა ქართველობას, თავგზას აუბნევდა, არევ-დარევას გამოიწვევდა და ამ რიგად სულ ადვილად შემოვიდოდა ჩვენს ლედა ქალაქში და მის მაღლობებზე აღმართავდა მონობის, დარბევა-აწიოკების და განადგურების დროშას. თავხედი! მან იცოდა, რომ თავისი მზაკვული შეტევით სულ საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწევდა, მან არ იცოდა, რომ მის მიერ გამოსროლილი ყუმბარები მათვე უთხრიდნენ სამარეს, რომ მათი ომის ცეცხლი თვითვე ჰსწვავდა თვალებს. „ტფილისი საფრთხეშია" — თითქოს ცხელი შანთი გაეტარებინოს გულში, ისე აღმოხდა კვნესა ყოველ ქართველს, მაგრამ უმალვე ჩაიკლა ეს გულის გმინვა, უმალვე დაიყუჩა ეს იარა და სწრაფად, სასწაულებრივ თოფს მიაშურა ხელი: ან სიკვდილი ან გამარჯვებაო. რასაკვირველია, ის ერი, რომელიც გამარჯვებისთვის სიკვდილს თვალს უსწორებს, თავის მკერდს აგებებს ტყვიას—ის ერი არ დამარცხდება, ის ერი, არასოდეს მოკვდება—ასეთ ერს „უთხზავს გვირგვინსა დიდებისა მისსა ბედი". შიშის ნაცვლად აღფრთოვანება და თავდადება, არევ-დარევის ნაცვლად სრული წესრიგი და ბრწყინვალე ორგანიზაცია, ქედის მოხვრის ნაცვლად შეტევა და მტერზე გულდაგულ მისვლა—აი რას იმკის ყველაგი მტერი. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, თავგანწირვის ნდობით გალომებული საქართველოს მხედრობა აჩერებს მოღლილ მტერს და დიდი ზარალს აყენებს.

მთელი საქართველო შეირხა, შეტორტმანდა, მთა და ბარი, ქართლ კახეთი, იმერ-ამერნი მოემართებიან სამშობლოს დასახსნელად, ტფილისის დასაცავად. ერთობილი საქართველო, გაერთიანებული ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით, შედგებული ერთის წმინდა და დიადი გრძნობით „ერთ ფიქრსა ფიქრობს, და ეს ფიქრია ჩვენი ერის თავისუფლება".

გვწამდეს, რომ ჩვენი ერის თავისუფლება არ გახდება მტრის გასაქელი და მტერთა შავი ურდოები დამარცხებულნი და შერცხვენილნი სიმწარით და ბოღმით თვითვე დაიჩიჩქნიან ფრჩხილებით თავის თვალებს.

დიდება საქართველოს!

ახალგაზრდა მამულიშვილთა ამოძახილი!

ქართველი ერის ცხოვრება, საქართველოს ისტორია—ეს ის მჭვნელი ფესვია, რომელიც თავის მკვლელს დაეხატება თვალწინ ორმაგ სიმბოლოთ:

ყოფნა, არ ყოფნა, გმირული სიკვდილი, თუ დატანჯული სიცოცხლე, სხვის უღლის ქვეშ ყოფნა, სხვის მონობა, რომელიც თუმცა დროებით მშვიდობიან ცხოვრებას ანიჭებდა, მაგრამ სული, ეროვნულ სახის გადაგვარებას უქადდა.

ბუნებით თავისუფლების მოტრფიალე და სამშობლოს სიყვარულის შეგნებით კი წმიდა მამულიშვილი ქართველი ამ ორ გრძნობიდან ყოველთვის გმირულ სიკვდილს აირჩევდა, რომელსაც პოეტის სიტყვებით დაამთავრებდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი". და ამ თვისი შეუდრეკელი ლტოლვით, წმიდა მამულიშვილური სიყვარულით და შეგნებით ის ყოველთვის იხსნიდა ხოლმე თავის სათაყვანებელ სამშობლოს მომდგარ გადაგვარებიდან, თუმცა კი ეს მისი ზნეობრივი გამარჯვება, ერის მთავარ ფიზიკურ ძალას შეიწირავდა ხოლმე. და ეს იყო მიზეზი, რომ საქართველომ მოიტანა ამ დრომდე უმანკო სისხლის წვეთებით დაწერილი ისტორიის ფურცლები, არ დაკარგა თავის სახე, თვისი წარსული თვითცნობიერება და თუკი ისტორიულმა ქარტეხილმა ის დაზიანა, ის ამ დაზიანებულ ნაწილსაც მალე გამოამთელებს საქართველოს წარსულ ტრადიციით, ისტორიით გაბწყინვებულმა მისწრაფებამ, მისი წარსულის სახის დაბრუნების სურვილმა, გადაალახვია და დაამსხვრევია საქართველოს რუსეთის მიერ დადგმულ მძიმე მონობითი პოლიტიკა, რომ საქართველო გადაეგვარებია და ძველ ისტორიულ ნაშთებზე ორი რუსეთის გაჯბერნია ეგო. და რუსეთს ამ მისმა პოლიტიკამ ამსხვერპლებია თვისი მახინჯი, ძალმომრეობაზე დამყარებული ქვედაბნური მიზანი, რომელმაც აამოძრავა მთელი ქართველი ერი, ქართველის თავმოყვარეობა აღზდგა, ცეცხლათ აენთო ქართველის გულში და მან ასეთ ვერაგ პოლიტიკას დამოუკიდებლობის გამოცხადებით უპასუხა.

აქედან იწყება შეგრძნებულ საქართველოს ისტორიის რენესანსი. საქართველო დადგა თვის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნის გზას, მაგრამ აქ ახალმა ისტორიულმა მტრებმა წამოყენეს თავი, რომელნიც დღეს ბოლშევიკურ ნიღაბით რუსეთის პოლიტიკის მანტიაში გაშხვეული საქართველოს წინააღმდეგ მოეშურებიან და როგორც მათ სჩვეოდათ: მუხანათური ქურდული დავდასხმით ფიქრობენ ავაზაკურ, შურით აღსავსე მიზნის მიხწევას; დღეს საქართველოს გარშემო საშინელმა შურით ამღვრეულმა ოკეანეს ტალღებმა ბატალორითი ისრების სროლა დაიწყეს საქართველოს კუნულის წინააღმდეგ, დღეს პირველმა-„წინელმა სომხეთმა" აღმართა მისოვის შავი დროშა საქართველოს წინააღმდეგ და „არშინით" მოზომა მისი სამოქმედო გეგმა საქართველოს განადგურებისა; და ამ მგლურ ღრეჭას აყვა ველური, პირველყოფილი, ბრბოული ჰანგებით გაწითლებული ადერბეიჯანი, რომელმაც აღიარა სომხეთთან კავშირი და მგელმა ცხვართან დაიწყო ვითომც ცხოვრების „ძმური" მოწესრიგება, მაგრამ ვერა ბატონებო! საქართველოს არსებობის დაცემას ვერვინ შესძლებს.

ის ერი, რომელიც მუდმივი სათელი იყო აზიის ველურობის და რომელმაც შესძლო ამის გადატანა; ის ერი, რომელსაც აქვს თვისი წარსული ისტორია, თვისი წარსული ეროვნული სახე არასდროს არ მოკვდება. ის ერი რომელმაც აზიის პირველყოფილ სიბნელის ძილში წამოჰყო მაღლა თავი და გენიალურ პიროვნებებით განაბრწყინვა მსოფლიოს წარმოდგენის სახე და რომელმაც ეს აზრები ისე განაშტკიცა მის მეცხოვნეთა გულში, რომ თვით საშინელ სიკვდილის წინაც ქართველი ამ გენიალურ სიტყვების აგონიით ამთავრებდა თვის მაღალ მამულიშვილურ მოვალეობის მოწოდებას, ამ ერის გულიდან ვერვინ ამოფხვრის ამ მის წარსულით აღტკივნებულ გრძნობას და სანამ ერთი ქართველიც კი იცოცხლებს ეს გრძნობა იარსებებს მის გზის მანათობლათ.

და დღეს დადგა ის წუთი, რომელმაც მთელი ქართველი ერი კვლავ ერთი გრძნობით, მამულიშვილური სიყვარულით აამოძრავა.

დღეს მთელი საქართველო ერთის იდეიით გაიმსჭვალება და დაანახვებს ყველას, რომ მას შეუძლია მოთმენა, მაგრამ თუ კი ეს საზღვარს გადასცილდა, იგიც გადასცილდება თვის სახელმწიფოებრივ ტრადიციაზე ამოჭრილ დასკვნას.

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ჩვენსაც გვეცილებიან", და ეს იქნება მაშინ, როდესაც მოთმინების ფიალა აღივსება, მაშინ საშინელი კოცონი დაინთება, საქართველოს მტერთა გულ-ღვიძლზე, რომელშიდაც დაიწვება ყველა საქართველოსადმი მიმართული მუხანათური, ქურდული მისწრაფებები, მათი გამსაღებლებით. და ამ მიზნის დაგვირგვინება კი ახალგაზრდობამ უნდა იდოს თავის თავზე. დღეს მთელი ქართველი ფიზიკურათ შეძლებული ახალგაზრდობა მთლათ ერთის იმპულსით ატორტმანებული უნდა დადგეს საქართველოს სადარაჯოს პოსტზე და იქ უნდა დააქციოს მან თვისი წმიდა სისხლი, რომელშიდაც უნდა ჩაახრჩოს საქართველოს ველური მტრები. დე, კვლავ გაისმას ომის საყვირის ძახილი, ეს ქართველ ახალგაზრდობას კი არ დასცემს სულიერათ, არამედ მას ადაფრთოვანებს; შევეწიროთ მსხვერპლათ ჩვენ სამშობლოს ოღონდ ნუ ვიხილავთ მას ლეჩაქ ახდილს; დეე დავიხოცოთ ყველა ბძოლის ველზე, ოღონდ ნუ ვნახავთ კი ჩვენს სამშობლოს ველურ, ბრბოულ გრძნობებით გადაგვარებულს და მომსპარს სულიერათ; დღეს უნდა ჩვენი სამშობლოს წარსული ლეგენდა და საქართველოს მომავალმა ამ საშინელ ამღვრეულ ოკეანის ტალღათა შუა უნდა აღმართოს თავისუფლების რეიდის კუნძული, რომელიც ყველას შეიფარებს.

და ჩვენი ლოზუნგი:

ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

ბ. პირველი.

პრესის მაგვირი.

ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა მთლიან საშინაო ფრონტს მოითხოვს. ერთსულოვნება და ყოველგვარი პარტიული სახით გამოსვლა შეჩერებულ უნდა იქმნას. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესი და აწინდელი ვითარება. ეს დღეს საქართველოში ყველამ შეიგნო, ვერ შეუგნია მხოლოდ გაზ. „სოც. დემოკრატს". მან პირველმა დაარღვია მთლიანი ერთსულოვნება, როცა ასეთი კორესპონდენცია დაბეჭდა: „ეროვნულ დემოკრატები ჩვენზე ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ იმ მიზნით, რომ წყალი აამღვრიონ. ხალხს ნაწამლი თევზივით თვალები აუბნიონ (?!) და შემდეგ ამ ამღვრეულ წყალში თევზების ჭერას თავისუფლად შეუდგენ"...

ქვევით აკინძულია ჩვეულებრივი სოც. დემ.-ლი მარგალიტები: „ყოფილი მემამულე", „მამასახლის პოდრიაჩიკები", „ღამურები" და სხვანი!.

ვარწმუნებთ „სოც. დემოკრატის" პატივცემულ რედაქციას, რომ ჩვენც ბევრი გვაქვს დასაბეჭდავი მასალა სოც. დემ.-ტების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ეს შევაჩერეთ და არც დავბეჭდავთ, სანამ ჩვენს სამშობლოს გარეშე საფრთხე ემუქრება. მთელი ჩვენი გულისყური ახლა იკითკნაა მიმართული, სადაც საქართველოს ბედი წყდება. ასეთ დროს „საშინაო ფრონტის" შენიგნულება არავის ეპატიება.

პერიოდ ცნობები.

თბილისი. 18 თებერვალს იყო შიში, ვინაიდან ბრძოლა იყო თბილისის მახლობლად კოჯორის მხარეზე.

19 თებერვალს კი დილიდანვე დაახვიეს მტერს 20 ვერსის მანძილზე კოჯორის მიმართულებით.

— —

ბათუმი. (ადგილობრივ გაზეთებიდან და სხვა სარწმუნო წყაროებიდან).

გაჩხრიკეს აზერბეიჯანის, სომხეთის და რუსეთის საკონსულოები, დაატყვევეს მათი ყველა წევრები და გაგზავნეს ქუთაისში. აზერბეიჯანის კონსული მიიმალა. გაჩხრეკის დროს აზერბეიჯანის საკონსულოში ნახეს 23 ვინტოვკა, ყუმბარები და ტყვიები; რუსეთის საკონსულოში სპეციალურ ადგილზე იყო ჩამოკიდული ნიკოლოზ მეორეს სურათი.

— —

ხმებია, რომ სტამბოლში ანტანტის ჯარები გემებში ჩასვეს და ფიქრობენ შავი ზღვის ერთ-ერთ ნავთსადგურზე გადმოსხან.

ბათუმში შაბათს მოელოდენ საფრანგეთის კრეისერს „ვალ-დე-კრუსოს", კვირას კი—ინგლისის ესკადრას.

— —

იყო ხმები, რომ არტაანის მახლობლათ გაიარა ქემალფაშის დიდძალ ჯარმა ალექსანდროპოლისაკენ.

— —

ასლან ბეგმა მოწოდება გამოუშვა, რომლითაც იწვევს ქართველ მაჰმადიანებს საქართველოს დასაცავათ,

— —

მაჰმადიანთა რაზმებში ბევრი ეწევრება.

კორესპოდენცია.

სოფ. ყურსები (ოკრიბის რაიონი).

ხანგრძლივმა ზამთარმა ხალხი მეტად შეაწუხა, ნოემბრიდან დაწყებული თოვლი ძევს. ზამთარმა ყველას მოუმზადებელს მოუსწრო, ნამეტნავად საქონლის საკვები უჭირთ. სიმინდის მოსავალიც წვიმიანმა შემოდგომამ გაფუჭა და ახლა უკვე ბევრს აკლია საზრდო. ხალხი მაინც მხნედ არის და მწარე ბედს მედგრად ებრძვის. გამოცოცილი და მკლავ-ძარღვიანი გლეხი არაფერს შეუშინდება, ოღონდ მის მშვიდობიან მუშაობას ხელს ნურავინ შეუშლის.

დღევანდელ ომს ხალხი შესაფერი სიდინჯითა და მეტად საამო შეგნებით შეხვდა. ყველას სახეზე კეთილშობილურ აღშფოთებას და ვერაგი მტრისადმი შურის ძიების ხაზებს ამოიკითხავთ. ჯარში ყველა სიტყვა-შეუბრუნებლად ეწერება და ვერავის აღმოაჩენთ, რომ სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესრულებას გაურბოდეს. სდგება კომიტეტი, რომელიც თემში ჯარისათვის ჩილისა, ტაშლისა და სხვ. შემოწირულებათა შეგროვებას აპირებს. ეს მოქმედება უნდა გავრცელდეს მთელს ოკრიბის რაიონში. ვაშა ჩვენს ბლეხკაცობას და გაუმარჯოს მის მარჯვენს!

X.

მთავარი რედაქტორი კ. კაპანელი.
სარედაქციო კოლეგია

ექიმი
ი. ბ. მეგურიშვილი
ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება საღამ. 5—8 საათამდი.
ჭავჭავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8.
ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს
თვ.

დაკარგე
სასურსათო წიგნაკი მოცემული ქუთაისის კოოპერატივისაგან № 2152 სოფიო ივანეს ასულის დიდიასთვის ვსთვლი გაუქმებულათ. 4—1

დაკარგე
წლის ბილეთი, მოცემული ქვიტირის თემის გამგესაგან 14 აპრილის 1920 წელს № 290 და მოწმობა დროებითი, სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებისა, მოცემული ქუთაისის სამხედრო უმფროსისაგან 1 ნოემბერს 1920 წელს № 8095—ვანცხადებ გაუქმებულათ.
ხვრაფიონ სპირდონეს ძე ბუმბეიშვილი. 4—1

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა. სტამბა იოსებ ხელაძისა.